

მაია ზიბზიბაძე

*მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სპეციალისტი (ბიოლოგია)
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი,*

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მიმართულებაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. აღნიშნული მიმართულება უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ახალი ცოდნის შექმნას და ძველის განმტკიცებას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას და ცოდნის პრაქტიკულ, მიზნობრივ გამოყენებას ახალ, უცნობ სიტუაციაში, მოსწავლის დაინტერესებასა და ჩართულობის მაღალ ხარისხს სასწავლო პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას გამორჩეული ადგილი უჭირავს მოსწავლეზე ორიენტირებულ თანამედროვე სასწავლო მიდგომებს შორის, მას თან ახლავს განსაზღვრული სირთულეებიც, რაც ართულებს ყოველდღიურ პრაქტიკაში დანერგვას და ზემოთ აღწერილი სარგებლის მიღებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ მასტერკლასს „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ბიოლოგიაში“. მასტერკლასის მიზანია, გააცნოს მასწავლებლებს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ძირითადი პრინციპები, მისცეს სასწავლო პროცესში მისი გამოყენების პრაქტიკული რჩევები, დაეხმაროს მასწავლებლებს სხვადასხვა ტიპის მზა ნიმუშების/მაგალითების ანალიზში, რომელთა გამოყენებაც მონაწილეები შეძლებენ პედაგოგიურ პრაქტიკაში. მასტერკლასის მიმინარეობისას მონაწილეები გაეცნობიან აგრეთვე, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების შეფასების ხერხებს/მეთოდებს.

მასტერკლასს ექნება ინტერაქტიული სამუშაო ფორმატი, რათა უზრუნველყოს მონაწილეთა მაქსიმალური ჩართულობა შეხვედრაში, განსახილველი საკითხების სიღრმისეული გააზრება და პრაქტიკული გავარჯიშება.

მასტერკლასი განკუთვნილი იქნება საბაზო და საშუალო საფეხურის ბიოლოგიის მასწავლებლებისათვის.

მასტერკლასზე წარმოდგენილი იქნება თემატიკა:

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ბიოლოგიაში.

მასტერკლასის შედეგად მონაწილეები შეძლებენ:

1. დაასაბუთონ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მნიშვნელობა;
2. განასხვავონ სხვადასხვა ტიპის დავალებები/აქტივობები აღნიშნული მიდგომის ფარგლებში და განსაზღვრონ რომელია საჭირო კონკრეტული სასწავლო მიზნების მისაღწევად;
3. შეაფასონ სხვადასხვა დავალება/აქტივობა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ფარგლებში;
4. გამოიყენონ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომა სასწავლო პროცესში.